საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 2724 2019 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში მოქმედი ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე

1. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში მოქმედ ზოგიერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე არ გავრცელდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეთ თანხმობა, რომ 2020 წლისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებში – არა უმეტეს 1767 ერთეულით;

ბ) სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტასა“ და მასში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში:

ბ.ა) სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 1595 ერთეულით;

ბ.ბ) სსიპ – სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 20 ერთეულით, ხოლო არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 20 ერთეულით;

ბ.გ) სსიპ – გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 25 ერთეულით, ხოლო არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 72 ერთეულით;

ბ.დ) სსიპ – რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 50 ერთეულით, ხოლო არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 11 ერთეულით;

ბ.ე) სსიპ – ინსტიტუტ „ოპტიკაში“ დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 20 ერთეულით;

ბ.ვ) სსიპ – ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 20 ერთეულით;

გ.ზ) სსიპ – მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 15 ერთეულით;

გ) სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 250 ერთეულით;

დ) სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 10 ერთეულით, ხოლო არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 18 ერთეულით;

ე) სსიპ – კიბერუსაფრთხოების ბიუროში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 6 ერთეულით;

ვ) სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 100 ერთეულით;

ზ) სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა – არა უმეტეს 9 ერთეულით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №190 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაშია 2020 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**